სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს

უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „ინერტული მასალების კომბინატი", თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბარდუბანის ტერიტორიაზე გააჩნია ლიცენზია (№10002055) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე (ჯამში 57 000 $მ^3$ მდინარის ქვიშა-ხრეში, ფართობი 1,9 ჰა). ამასთან, გააჩნია მოპოვებული წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარი. დანადგარზე ხდება მდინარის ბალასტის გადამუშავება და მისგან ქვიშისა და ღორღის სხვადასხვა ფრაქციის მიღება. გარდა ამისა, ამავე ტერიტორიაზე, ავტოტრანსპორტის საწვავით გამართვის მიზნით, კომპანიას მოწყობილი აქვს ნავთობპროდუქტების რეზერვუარი.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტითა და ამავე დანართის მე-6 პუნქტის 6.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სააგენტო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ის საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველად წარმოგიდგენთ თქვენი 2022 წლის 9 ივლისის N21/3947 წერილის შესაბამისად კორექტირებულ სკრინინგის ანგარიშს. გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი: სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია, Shp ფაილები.

პატივისცემით,

ლევან სვანიძე

დირექტორი

შპს „ინერტული მასალების კომბინატი",

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
19 09 2022 წ.
№ 4965